

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №476

2024 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ფარმაცოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, ავტორიზებული აფთიაქის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან ექსპორტის ნებართვების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის №335 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ფარმაცოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, ავტორიზებული აფთიაქის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან ექსპორტის ნებართვების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის №335 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/07/2019, 470200000.10.003.021353) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-5 მუხლს 1² პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1³ პუნქტი:

„1³. თუ მწარმოებელი 2025 წლის 1 მარტამდე წარმოადგენს GMP სერტიფიკატის მისაღებად საწარმოში გასატარებელი ღონისძიებების გეგმას, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი უფლებამოსილია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე საწარმოს მისცეს გონივრული ვადა, არაუმეტეს თვრამეტი თვისა, რომლის განმავლობაშიც, მწარმოებლის მიერ წარდგენილი გეგმის შესაბამისად, ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს GMP სერტიფიკატის მისაღებად საჭირო ღონისძიებები. ამ ვადის განმავლობაში საწარმო უფლებამოსილია, აწარმოოს ფარმაცევტული პროდუქტი მხოლოდ ექსპორტისთვის. აღნიშნული გადაწყვეტილება გაუქმდება, თუ საწარმო ვერ უზრუნველყოფს გასატარებელი ღონისძიებების გეგმის შესრულებას.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი კობახიძე

